თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

საქართველოში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურა შეიქმნება

იხილეთ მე-5 გვერდზე

საფერავის ბოკალის დაბადება

იხილეთ მე-8 გვერდზე

№28 (716) 13 - 19 ოქტომბერი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

შესრულდება თუ არა ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტი?

ვის რა ერგო და რა ერგება ქუთაისის ბიუჯეტიდან

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტში პედაგოგებისთვის ახალი პროექტები იგეგმება

იხილეთ მე-2 გვერდზე

„რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ სხვა ქალაქში ვცხოვრობთ, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახური კი – სხვა ქალაქში!“

იხილეთ მე-2 გვერდზე

გერმანიაში უმაღლესი განათლება ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის უფასო გახდა

იხილეთ მე-7 გვერდზე

PSNEWS.GE გამორჩეულად ინტერაქტიულ ვებგვერდად დასახელდა

პოლონელმა მედიაექსპერტებმა ქართული რეგიონული მედიაგამომცემლობები დააჯილდოვეს

იხილეთ მე-8 გვერდზე

„პედაგოგებს დღემდე საცდელ ბაჭიებად გვიყურებენ და ჩვენზე ცდებს ატარებენ“

ქვეყნის მომავალი რომ საკლასო ოთახიდან იწყება, ამას ასაკით უკვე პენსიონერი, თუმცა დღემდე მოქმედი მასწავლებელი ლამარა დიასამნიძე გვიმტკიცებს, 65 წლის პედაგოგი ამბობს, რომ სახელმწიფოს წარმატება განათლების ხარისხზეა დამოკიდებული და, შესაბამისად, განვითარებული ქვეყნის მშენებლობაში მასწავლებლის როლი ფუძემდებლურია.

ლამარა დიასამნიძე ამბობს, რომ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სტაჟის მიუხედავად, დღემდე ენთუზიაზმზე მუშაობს და სტაჟი და არც გაწეული შრომა ადეკვატურად არასდროს დაფასებია. „ვიყო მასწავლებელი, ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. პასუხისმგებლობაა იმდენად, რამდენადაც მომავალი თაობის აღზრდასა და ჩამოყალიბების საქმეში ჩვენი როლი გადამწყვეტია, ეს საქმე ყოველდღიურად თვითგანვითარებას მოითხოვს, უზომოდ შრომატევადია, რადგანაც, თუ მოსწავლემ შეატყო, რაღაც საკითხში ღრმად მცოდნე არ ხარ, ასეთი მოსწავლისთვის უინტერესო ხდები და ის არ მოგისმენს, მრავალწლიანი სტაჟის მიუხედავად, ყოველი ჩემი გაკვეთილი მოსწავლეებთან გამოცდის ჩაბარებას ჰგავს. მთელი პასუხისმგებლობით ვემზადები მათთან სასაუბროდ, აზრების ურთიერთგასაცვლელად. პედაგოგობა საოცრად შრომატევადია, თუმცა ეს შრომა სათანადოდ არცერთ დროში არ გვიფასდებოდა და ამ მხრივ, სამწუხაროდ, დღემდე არაფერი შეცვლილა.“

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„მაშინ წამოვალ ჯარიდან, როცა დედაჩემს აფხაზეთის მიწაზე დავადგმევინებ ფეხს“

იხილეთ მე-4 გვერდზე

ვინ რამდენ დანამატს იღებს ნარმანიას ბრძანებით?

იხილეთ მე-3 გვერდზე

სკანვორდი — გვ. 7 | კროსვორდი — გვ. 7

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ჰოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტში პედაგოგებისთვის ახალი პროექტები იგეგმება

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე ქუთაისელ პედაგოგებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს.

ქალაქის მერმა შოთა მურღულიამ და მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ვაჟა ჯუღელმა საჯარო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულების და მუსიკალური სასწავლებლების მასწავლებლებს ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში უმასპინძლეს და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადეს.

82-მა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, რომლებიც წარმოდგენილნი უმუალოდ სკოლის ადმინისტრაციის მიერ იყვნენ, მადლობასთან ერთად ერთჯერადი მატერიალური საჩუქრებიც მიიღეს.

„ადგილობრივი ხელისუფლების სახელით მასწავლებლებს მადლობას ვუხდით გაწეული საქმიანობისთვის, რადგან მათი დამსახურებაა, რომ თითქმის ყოველწლიურად საქართველოს მასშტაბით ყველაზე კარგი მოსწავლეები ქუთაისიდან არიან წარმოდგენილი და ქუთაისელი მოსწავლეები საუკეთესო განათლებას იღებენ," — განაცხადა შოთა მურღულიამ.

რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ მასწავლებელთათვის ქუთაისის მომავალი წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტები დაიგეგმება და საგანმანათლებლო დაწესებულებებს მეტი ყურადღება დაეთმობა.

მურღულიას განცხადებით, კარგი იქნება თუ ქუთაისელი პედაგოგებისთვის გაიმართება კონკურსი. კონკურსის ფარგლებში შეირჩევა თემა და საუკეთესო ნამუშევრის ავტორი სოლიდური მატერიალური საჩუქრით დაჯილდოვდება.

შეხვედრაზე პედაგოგების ანაზღაურებაზეც ისაუბრეს და იმედი გამოთქვეს, რომ მალე მასწავლებლის ხელფასი ღირსეული გახდება.

პედაგოგებმა მერს და კულტურის სამსახურის უფროსს ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ეს შეხვედრა მათთვის საუკეთესო საჩუქარია, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება პედაგოგების შრომას ხედავს და აფასებს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

შესრულდება თუ არა ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტი?

ვის რა ერგო და რა ერგება ქალაქის მთავარი საფინანსო დოკუმენტიდან

ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურში აჯამებენ. როგორც საფინანსო სამსახურის უფროსი ირაკლი ავალიანი აღნიშნავს, 2014 წლის ბიუჯეტი წარმატებით სრულდება და დეფიციტზე საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

თავდაპირველად, ქუთაისის ბიუჯეტი 43 მილიონი ლარი იყო, მოგვიანებით სხვადასხვა სახის ცვლილებები განიცადა და 64 78 200 ლარი შეადგინა.

არსებული მონაცემებით, მთავარი ფინანსური დოკუმენტის თითქმის 81% შესრულებულია. დარჩენილი 19 პროცენტის შესრულებას კი წლის ბოლომდე ვარაუდობენ.

2014 წელთან განსხვავებით, გასული წლის ბიუჯეტი სეკვესტრს ძლივს გადაურჩა. რის მიზეზადაც ახლადარჩეული ხელისუფლება, საკადრო ცვლილებას, ჯერ კიდევ თანამდებობაზე მყოფი „ნაციონალების" მიერ არასწორად დაგეგმილ ბიუჯეტს და სამუშაოების გვიან დაწყებას ასახელებდა.

საფინანსო სამსახურის უფროსი კი აღნიშნავს, რომ გასულ წელს ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არაფინანსური აქტივების და ქონების ნაკლებმა რეალიზაციამ, ასევე სათამაშო ბიზნესიდან შემოსული თანხების სიმცირემ გამოიწვია.

ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტში, წლის მეორე ნახევარში 676000 ლარის ცვლილება განხორციელდა. როგორც ადგილობრივი ხელისუფლება აღნიშნავდა, ბიუჯეტში ცვლილების უმთავრესი წყარო 26 მაისს არგაცემული პრემია გახდა, რითაც დაზოგილი 300 000 ლარი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხების მოგვარებას მოხმარდა.

დარჩენილი 376 000 ლარი კი ბიუჯეტის სხვადასხვა ნაწილში გადაჭარბებით შესრულების შედეგად დაიზოგა.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილში ცვლილებებს, სპორტის სასახლეს 160 000 ლარი დაემატა, რაც დარბაზში არსებული ლამინატის შეცვლას მოხმარდება. ბიუჯეტიდან 450 000 ლარით დაფინანსდა ქუთაისის საკალათბურთო გუნდი, რითაც გუნდი ახალი სეზონისთვის დაიწყებს მზადებას.

60 000 ლარი დაემატა საპროექტო სამუშაოებს, გამოყოფილი თანხით რეგიონული განვითარების სამინისტროსთვის წარსადგენი პროექტები მომზადდება. 50 000 ლარით გაიზარდა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

სხვა შემოსავლებთან ერთად ბიუჯეტში სოლიდური თანხა საპატრულო ჯარიმებიდან შევიდა. როგორც ირაკლი ავალიანმა რამდენიმე კვირის წინ psnews.ge-სთან საუბარში აღნიშნა, ქალაქის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები (ტრანსფერების გამოკლებით, რომელსაც ცენტრიდან იღებს) 14 მლნ ლარით არის განსაზღვრული, რომელიც ივსება როგორც ქონების გადასახადიდან, ასევე შემოსავლებით, ჯარიმებიდან, ძირითადად, ეს არის საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევისთვის. აქედან მეტი ნაწილი — 60% რჩება ქალაქს, ნაწილი კი შედის ცენტრალურ ბიუჯეტში.

ბიუჯეტის შესრულების ცხრათვიანი ანგარიშით კმაყოფილია ქალაქის მერიც. როგორც შოთა მურღულიამ აღნიშნა, წინა წლებთან შედარებით, წელს კარგი ტენდენციაა.

„თუ შევადარებთ წინა წლების ბიუჯეტის შესრულებას, ცხრათვიანი ანგარიშით კმაყოფილი ვარ. შარშან არაფინანსური აქტივების კლება კატასტროფულ გარღვევაში იყო, წელს გადაჭარბებით სრულდება, ასევე კარგად სრულდება ხარჯვითი ნაწილი," — აღნიშნა **შოთა მურღულიამ.**

თუმცა, ქუთაისის ბიუჯეტის შესრულების ალბათობას ეჭვქვეშ აყენებენ საკრებულოს „ნაციონალი" დეპუტატები. როგორც ისინი აღნიშნავენ, ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არამხოლოდ ქუთაისს, არამედ თბილისსა და თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს აქვს.

„ჯერ არ გავცნობივარ ბიუჯეტის შესრულების ცხრათვიან ანგარიშს, თუმცა იმ სამუშაოებიდან გამომდინარე, რაც ქალაქში ხორციელდება, ეჭვი მეპარება, რომ 81% იყოს შესრულებული. პრობლემებია როგორც შესრულების, ასევე ხარჯვით ნაწილშიც. რადგან ძალიან დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. მაგალითად, პროგრამა „კორპუსის" და გზის საფარის დასაგებად, რაზედაც უსერიოზულესი თანხები იხარჯება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯერ ტენდერები არ ჩატარებულა და შემსრულებლები არ გამოვლენილა. მსგავსი ტემპით თუ გაგრძელდა ქუთაისში გზების დაგება, ოქტომბრის ბოლოს, წვიმაში მოგვიწევს მუშაობა. ასე დაგებული გზები როგორი ხარისხისაც იქნება, ძნელი მისახვედრი არაა. თუ ხელისუფლება გულისხმობს, რომ ბიუჯეტი პრემიების და ხელფასების გაცემის მუხლში სრულდება, ამაში ვეთანხმები. სხვა მხრივ კი არამარტო ქუთაისში, არამედ საქართველოს ვერც ცენტრალურ და ვერც ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტს ვერ ასრულებენ," — აღნიშნავს **დავით გოგისვანიძე.**

რაც შეეხება მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს, როგორც მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ირაკლი ავალიანი აღნიშნავს, ბიუჯეტის ფორმირებაზე მუშაობა სხვადასხვა განყოფილებებში დაწყებულია. შეჯერებული ვარიანტი კი საკრებულოს 15 ნოემბრამდე წარედგინება. ქუთაისში იმედოვნებენ, რომ ქუთაისის მომავალი წლისთვის ბიუჯეტი რამდენიმე მილიონით გაიზრდება.

როგორ დაიგეგმება 2015 წლის ბიუჯეტი ადგილობრივ ხელისუფლებაში, ამ დროისთვის ვერ საუბრობენ. თუმცა, აღნიშნავენ, რომ მთავარ ფინანსურ დოკუმენტში თანხები პრიორიტეტულობის და ქალაქისთვის საჭირო საკითხების მოგვარების მიხედვით გადანაწილდება.

საკრებულოსთვის წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს მოიწონებენ თუ არა „ნაციონალი" დეპუტატები, ჯერჯერობით, პასუხის გაცემა უჭირთ. როგორც დავით გოგისვანიძე აღნიშნავს, ბიუჯეტი ხალხზე ორიენტირებული უნდა იყოს. თუ მმართველი გუნდი მათი შენიშვნების და რეკომენდაციების ნაწილს მაინც გაითვალისწინებს, ამ შემთხვევაში მთავარ ფინანსურ დოკუმენტს მწვანე შუქს აუნთებენ.

თუმცა, გოგისვანიძე იმასაც აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი ხალხის უშუალო მითითებით უნდა დაიგეგმოს, რადგან მოსახლეობამ ყველაზე კარგად იცის რა პრობლემა აქვს ქალაქს. როგორც „ნაციონალი" დეპუტატი აღნიშნავს, მოსახლეობისთვის მსგავსი კითხვებით, ჯერჯერობით, არავის მიუმართავს, ამიტომ ვარაუდობს, რომ 2015 წლის ბიუჯეტი ხალხის ბიუჯეტი არ იქნება.

ნესტან ჩაგელიშვილი

„რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ სხვა ქალაქში ვცხოვრობთ, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახური კი – სხვა ქალაქში!"

არასამთავრობო სექტორის შენიშვნები ღონისძიებების ე.წ. „მეორე განყოფილებებს", საბანკეტო ხარჯებს უკავშირდებოდა. როგორც შეხვედრაზე გაჟღერდა, საბანკეტო ხარჯი ხშირად ღონისძიების ხარჯებს სცდება.

ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურმა მიმდინარე წლის ცხრათვიანი მუშაობის ანგარიში არასამთავრობო სექტორს გააცნო.

შეხვედრაზე კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვაჟა ჯუღელმა და სამსახურის თანამშრომლებმა იმ პროექტებზე ისაუბრეს, რომლებიც აღნიშნული სამსახურის ხელშეწყობით განხორციელდა და წლის ბოლომდე განხორციელდება.

წარმოდგენილმა ანგარიშმა არასამთავრობო სექტორის შენიშვნები გამოიწვია. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროგრამების ხელმძღვანელის, ნოდარ ჯიქიას განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა, არასამთავრობო სექტორს არა ანგარიშის მოსასმენად, არამედ მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისთვის შეხვედროდნენ.

„კარგია, რომ არასამთავრობო სექტორთან შეხვედრა იმართება, მაგრამ შესრულებული სამუშაოების მოსმენას სჯობდა, 2015 წლის ბიუჯეტის ფორმირებაზე გვემსჯელა. თუმცა, წარმოდგენილ ანგარიშთანაც გვაქვს შენიშვნები. არც კი ვიცოდი, ამდენი კულტურული ღონისძიება თუ ჩატარდა ამ ქალაქში, კარგი იქნებოდა, ამის შესახებ ინფორმაცია თავის დროზე გვქონოდა. ამავდროულად, ჩანდა, რომ ბევრი ისეთი პროექტი განხორციელდა, რომელიც არ იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული. ცუდია პათოსი, თითქოს იმ კუთხით, რასაც ეს სამსახური კურირებს, ყველაფერი კარგადაა. სამწუხაროდ, ასე არაა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ სხვა ქალაქში ვცხოვრობთ, მერიის კულტურის სამსახური კი — სხვა ქალაქში," — აღნიშნა **ნოდარ ჯიქიამ**.

არასამთავრობო სექტორის შენიშვნები ღონისძიებების ე.წ. „მეორე განყოფილებებს", საბანკეტო ხარჯებს უკავშირდებოდა. როგორც შეხვედრაზე გაჟღერდა, საბანკეტო ხარჯი ხშირად ღონისძიების ხარჯებს სცდება. შენიშვნას ვაჟა ჯუღელმა უპასუხა. როგორც მან აღნიშნა, მათაც არ მოსწონთ აღნიშნული ხარჯები, მაგრამ საბანკეტო განყოფილება აუცილებელია და მიუხედავად მათი სურვილისა, ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლიან.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

„პედაგოგებს დღემდე საცდელ ბაჭიებად გვიყურებენ და ჩვენზე ცდებს ატარებენ"

პირველი გვერდიდან

ქალბატონი ლამარას მსგავსად ფიქრობს გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობა. მათთვის ნომერ პირველ პრობლემად მასწავლებლის ანაზღაურება რჩება. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ შრომა, რომელსაც ისინი მომავალი თაობის აღზრდასა და განათლებაში დებენ, დღემდე ენთუზიაზმს ეფუძნება.

უკვე გატარებული რეფორმების პარალელურად, პედაგოგები მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონ-პროექტსაც იწუნებენ, განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული ახალი სქემის თანახმად, პროფესიული სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში, ამავე სამინისტროს დირექტორობისა და მასწავლებლობის უფლების ჩამორთმევის საშუალება ეძლევა.

განათლების სამინისტროს მიერ დადებით შედეგებზე გათვლილი კანონპროექტი თავად პედაგოგებს ღირსების შელახვად მიაჩნიათ.

პედაგოგი **ლალი გაბისონია** აღნიშნავს, რომ მთავრობამ ამ სქემის შემუშავების დროს მასწავლებლების ღირსების საკითხზე არ იფიქრა, თუმცა პედაგოგები იმედს იტოვებენ, რომ კანონპროექტს მხარს მომავალშიც არ დაუჭერენ. „ჩვენ არ ვართ რეფორმების წინააღმდეგი, მაგრამ ეს რეფორმები პედაგოგთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა იყოს მიმართული და არა მის დაკნინებაზე. დიდი იმედი მაქვს, რომ დეპუტატთა უმრავლესობა მომავალშიც გამოიჩენს გონიერებას და ამ კანონს მხარს არ დაუჭერს."

როგორც აღმოჩნდა, სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებით პედაგოგთა პოზიცია ცალსახაა, რაც შეეხება იმავე კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც პედაგოგთა 4 კატეგორიად: პრაქტიკოს, უფროს, წამყვან და მენტორ მასწავლებლებად დაყოფა უნდა მოხდეს, აქ პოზიციები იყოფა: პედაგოგთა ნაწილს ეს უკვე აპრობირებულ მეთოდად მიაჩნია, ნაწილი კი კატეგორიებად დაყოფას მასწავლებელთა შორის უსიამოვნების ჩამომყალიბებელ დიფერენცირებად მიიჩნევს.

პედაგოგი **ნათელა ჩხაბერიძე**: „კატეგორიებად დაყოფის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, აქ ახალი არაფერია, მენტორები სკოლებში ადრეც იყვნენ და ამით არაფერი დაშავებულა, იგი გამოცდილებით და სტაჟით დამწყებზე უფრო მაღლა დგას და თუ ახალბედა მისგან ისწავლის, ამით მას არაფერი დააკლდება."

იმავე თემაზე განსხვავებული პოზიცია აქვს პედაგოგ **ლია ონიანს**: „ეს არის არაფრისმომტანი რეფორმა. რა საჭიროა სკოლებში კატეგორიებად დაყოფა? ეს პედაგოგებს არათანაბარ მდგომარეობაში აღმოაჩენს. ან რა პრინციპით უნდა მოხდეს პედაგოგთა დაყოფა? ესეც ცოტა რთულად წარმოსადგენია, მიმაჩნია, თუ ეს რეფორმა ამოქმედდა, ეს იქნება საბაბი პედაგოგების ახალი უსიამოვნებისა."

კრიტიკის პარალელურად, პედაგოგები აღიარებენ იმ რეალობას, რომლის მიხედვითაც განათლების დონის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიო ქვეყნებს შორის ბოლო პოზიციებს იკავებს, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ პრობლემა სისტემასთან ერთად მასწავლებლების მიდგომებსა და კვალიფიკაციაზეც პირდაპირ გადის, და ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემაში გასატარებელ ნომერ პირველ რეფორმად ისეთი ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობენ, რაც პედაგოგთა კვალიფიკაციას აამაღლებს.

ქუთაისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი **ქრისტინე საღინაძე** პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხშიც ხედავს პრობლემებს, თუმცა მის გულისწყრომას სახელმწიფოს მხრიდან ამ პროფესიის დაუფასებლობა იწვევს. „რა თქმა უნდა, პედაგოგს სჭირდება გადამზადება და, რომ ვთქვათ, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, არ ვიქნებით მართალი, მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარია და გულსაწყვეტია სახელმწიფოს დამოკიდებულება პედაგოგთა მიმართ, ჩვენ ვართ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პროფესიის მქონე ადამიანები, გვინდა რეფორმები, რომელიც ჩვენი განათლების ხარისხს და ფინანსურ მდგომარეობას გაუმჯობესებს და არა გაუგებარი ექსპერიმენტების ჩატარება ჩვენზე, როგორც საცდელ ბაჭიებზე, რაც ადრეც ასე იყო და ასევე გრძელდება დღესაც."

სისტემის მოსაწესრიგებლად, კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, ფსიქოლოგები ისეთი ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობენ, რაც პედაგოგისა და მოსწავლის დაბალანსებული ურთიერთობის ჩამოყალიბებისკენ იქნება მიმართული.

ფსიქოლოგი **თეა ფანჩულიძე** მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით პრობლემები ორივე მხარეს აქვს და ურთიერთობებში, რომელიც ხშირად კონფლიქტურ სახეს იძენს, შეცდომებს როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლებიც უშვებენ. „სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლის რთულ ქცევას პედაგოგები კონკრეტულად მათ მიმართ მიმართულ ქცევად მიიჩნევენ და მოსწავლეების მიმართ არასწორ მიდგომებს იჩენენ. სამხუხაროდ, ხშირად პედაგოგები კიხცავენ მოსწავლეებს ამა თუ იმ ქცევისთვის და ამავდროულად, თვითონვე გვევლინებიან როგორც არაადეკვატური ქცევის გამომვლენელნი. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი ტრენინგების ჩატარება, რომელიც მასწავლებლებში კვალიფიკაციასთან ერთად პროფესიულ სტანდარტებსაც აამაღლებს."

ის, რომ 21-ე საუკუნის თაობის მიმართ მიდგომები განსხვავებული უნდა იყოს, ფორმალურად პედაგოგები და მოსწავლეებიც ეთანხმებიან, მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ ნაკლები დისტანცია და უშუალო დამოკიდებულება მოსწავლის მიმართ მას უფრო გაბედულს და აზრის თავისუფლად გამომხატველს გახდის.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გასატარებელ რეფორმებს შორის დეპუტატები პედაგოგების ხელფასების გაზრდაზეც საუბრობენ. რაც შეეხება სტატუსის ჩამორთმევისა და კატეგორიებად დაყოფის სადავო საკითხებს, რა ფორმით მოიწონებს მას საკანონმდებლო ხელისუფლება, უახლოესი საპარლამენტო სხდომები აჩვენებს.

ეკა შალამბერიძე

ვინ რამდენ დანამატს იღებს ნარმანიას ბრძანებით?

სახელფასო დანამატები გაიცემა იმ მოხელეებზე, რომელთაც გააჩნიათ მაღალი თანამდებობრივი პასუხისმგებლობა და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ათეულობით მილიონ ლარს განკარგავენ, — ამის შესახებ თბილისის მერიის მიერ სახელფასო დანამატებთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საჯარო მოსამსახურეებზე დანამატის გაცემის არსებული წესი იმოქმედებს მიმდინარე წლის ბოლომდე. ამჟამად კი მერია აღნიშნული საკითხის დარეგულირების მოდელზე მუშაობს. მერიის განცხადებას „ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ:

„თბილისის მერიის ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის სახით გამოქვეყნდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანოების საჯარო მოსამსახურეებზე დანამატის გაცემის შესახებ.

აღნიშნული ბრძანება სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, განვმარტავთ: საჯარო მოსამსახურეებზე დანამატის გაცემის არსებული წესი იმოქმედებს მიმდინარე წლის ბოლომდე. ამჟამად მერია მუშაობს აღნიშნული საკითხის დარეგულირების მოდელზე, რაც საზოგადოებისთვის მოგვიანებით გახდება ცნობილი. აქვე, განვმარტავთ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა ანაზღაურება (სახელფასო ფონდი თუ დანამატი) არ შეცვლილა. ამასთან, სახელფასო დანამატები გაიცემა იმ მოხელეებზე, რომელთაც, ერთი მხრივ, გააჩნიათ მაღალი თანამდებობრივი პასუხისმგებლობა, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ათეულობით მილიონ ლარს განკარგავენ. ვფიქრობთ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ მენეჯერთა ანაზღაურება მათი კვალიფიკაციის პირდაპირპროპორციული უნდა იყოს.

აქვე, მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ თბილისის მერიამ უარი თქვა პრემიების გაცემის მანკიერ სისტემაზე და მას მოხელე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაბამისი სამუშაოს შესრულებისას მიიღებს. გარდა ამისა, ყველა, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც, დაგვეთანხმებიან, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებულ მოხელეთა (მათ შორის, თანამდებობის პირთა) ანაზღაურება არ არის იმაზე მაღალი, ვიდრე კერძო თუ ზოგჯერ იმავე მესამე სექტორში დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, ხოლო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე — ორმაგი. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს ეფუძნება თბილისის მერის გადაწყვეტილება 2014 წლის ბოლომდე საჯარო მოსამსახურეებზე დანამატის ამ ფორმით გაცემის შესახებ. აქვე, ვთავაზობთ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, საკითხის დარეგულირების მიზნით, წარმოადგინონ ოპტიმალური წინადადებები. თბილისის მერია მზადაა, მიიღოს ყველა კვალიფიციური და არგუმენტირებული წინადადება," — ნათქვამია განცხადებაში.

თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ მერიის ორგანოების თანამშრომლებზე დანამატის გაცემის შესახებ ბრძანება გამოსცა. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, დანამატი 2014 წლის 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ყოველთვიურად, დარიცხული ხელფასის პროპორციულად უნდა გაიცეს. დოკუმენტის მიხედვით, დანამატის ჯამური რაოდენობა ოთხი თვის განმავლობაში 152 060 ლარს შეადგენს. ბრძანების მიხედვით, დანამატს 26 თანამდებობის პირი იღებს.

ბრძანების მიხედვით, ყოველთვიურ დანამატს იღებენ დედაქალაქის ვიცე-მერი — 3540 ლარი, მერის მოადგილე — 3360 ლარი, მერიის ადმინისტრაციის უფროსი 3180 ლარი, მისი პირველი მოადგილე — 2000 ლარი და მოადგილე — 1800 ლარი, საქალაქო სამსახურის უფროსი — 2600 ლარი, რაიონის გამგებელი — 2600 ლარი, რაიონის გამგებლის მოადგილე — 1800, მერიის აპარატის (სამსახურის) მრჩეველი — 1300 ლარი ყოველთვიური დანამატი და სხვა თანამდებობის პირები.

http://www.interpressnews.ge/

„მაშინ წამოვალ ჯარიდან, როცა დედაჩემს აფხაზეთის მიწაზე დავადგმევინებ ფეხს"

ჩემი რესპონდენტი ქალბატონი იმით არის გამორჩეული, რომ მისი, ერთი შეხედვით, ნაზი უბრალოების მიღმა უდიდესი სიმამაცე და ამასთანავე ენით აღუწერელი ტკივილი იმალება. ასაკი გამოვლილმა გაჭირვებამ დაატყო, თუმცა, 60 წლის ქალბატონის იერი უაღრესად სიცოცხლისუნარიანია.

ქალი, რომელზეც ვსაუბრობ, სულ რაღაც ორი კვირაა, რაც გავიცანი, რაც ერთ ჭერქვეშ გვიწევს ცხოვრება და სიმართლე გითხრათ, ისეთი შთაბეჭდილება მეუფლება, რომ ძალიან დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს. მოკლედ, უკვე გაუთავებლად შემიძლია ამ ქალბატონზე საუბარი, თუმცა შევეცდები, მისი პიროვნული ღირსებები და მის თავს გადახდენილი ამბავი მისივე მონოლოგით შემოგთავაზოთ. ერთს გეტყვით, ჩემი რესპონდენტი აფხაზეთიდან დევნილი ლარისა (ნელი) უბირიაა, სამი შვილის — ირმა, ილონა და ირაკლი მეშველიანების დედა.

„მე და ჩემი მეუღლე ჩვენს სამ შვილთან ერთად ქალაქ ტყვარჩელში „40 წელი საბჭოთა აფხაზეთი" ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩემი მეუღლე სოხუმის დეპოში მუშაობდა, ოჩამჩირის, ტყვარჩელის და სხვადასხვა მიმართულებით. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერაში იყო ჩემი მეუღლის ძირი ოჯახი. იქ ახალი გადასულები ვიყავით, როცა 1992 წელს ომი დაიწყო. ომის დაწყების დღიდან ჩემი მეუღლე ბრძოლაში ჩაერთო. თავიდან იარაღი არ მისცეს და შეუიარაღებლად იცავდა სოფელს, ზედამხედველობდა, ვინმე რომ არ შემოსულიყო. ოქტომბრის 20 რიცხვში ვითარება დაიძაბა და ჩვენი სოფლის დაცლა დაიწყო. დააყენეს ავტობუსი და ქალები და ბავშვები მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში წაგვიყვანეს, გაგვარიდეს სიტუაციას. ჩემი ქმარი ელგუჯა კი სახლში დარჩა, ოჯახს ვერ მივატოვებო. სალხინოში დევნილად ორი თვე დაგვტოვეს. ამ ორი თვის განმავლობაში ჩემი ქმარი მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა ჩვენს სანახავად და ისევ დაბრუნდა ცაგერაში. ჩვენს სოფელში არსებულ ინფორმაციას ტელევიზიით ვიგებდით. სახლიდან ისე გამოვედით, რომ საერთოდ არაფერი წამოგვიღია, რაც მეცვა, იმ ტანსაცმლით წავედით ყველანი. შეფერხებული იყო მიმოსვლა, საომარი მდგომარეობაც გამოცხადდა.

ერთ დღესაც ჩემმა მამამთილმა მოგვაკითხა დედაჩემის სახლში, სოფელ აკვასკაში რომ წავეყვანეთ. სოფელ გუფამდე ფეხით მივედით, სადაც აფხაზები იდგნენ. რა თქმა უნდა, გაგვაჩერეს სამხედროებმა, მე შემეშინდა, მაგრამ არ დავიბენი და მათ აფხაზურად მივესალმე, დაინტერესდნენ ჩემი ვინაობით. ვუთხარი, რომ მთელი ბავშვობა იქ მქონდა გატარებული, დედაჩემის სახლში, რომ ჩემთვის აფხაზი უცხო არ იყო. მათაც შევეცოდეთ პატარა ბავშვების პატრონი და გაგვიშვეს, თან გაგვაფრთხილეს, რომ გზა დანაღმულია და ფრთხილად იარეთო. გზად პატარებს მოშივდათ, მოწყურდათ. ჩემმა მამამთილმა ერთ ოჯახში დაიძახა, იქნებ წყალი მაინც დავალევინოთ ბავშვებსო. უფლის წყალობით, ღვთისნიერი ხალხი შეგვხვდა, სახლში მიგვიპატიჟეს, საჭმელი, წყალი, ხილი ჩაგვილაგეს ჩანთაში და გამოგვიშვეს, ასე მივაღწიეთ დედას სახლში სოფელ აკვასკაში, მამამთილი კი ცაგერაში დაბრუნდა. მინდოდა, მას გავყოლოდი, მაგრამ არ წამიყვანა.

მეგონა, ცოტა ხნით მაინც დავწყნარდებოდი, გავერიდეთ არეულობას-მეთქი, მაგრამ ჩემი სახლის წინ აფხაზების შტაბი იყო... მართალია იცოდნენ, რომ იქ ვიყავით თავშეფარებული და არ გვეხებოდნენ. ბავშვებს მაინც სულ ჩაცმულს ვაძინებდი, უცებ გაქცევა რომ დაგვჭირვებოდა. ცოტა ხანი ვიყავით დედაჩემთან, მერე კი ელგუჯამ შემომითვალა, რომ სოფელ ბესლახუბამდე წამოდიო ფეხით, იქ კი მე დაგხვდებიო, მაგრამ მარტო არ გამიშვა დედამ, ბესლახუბას ცოტა აქეთ ჩემი ქმრის ბიძაშვილი ჩამოვიდა და ისევ ჩვენს სახლში, ცაგერაში წაგვიყვანა. სულ ტყე-ტყე ვიარეთ და მივაღწიე ჩემ ქმართან, ისევ სახლში მივედით. იქ სრული არეულობა იყო, მაგრამ მაინც ჩვენს კუთხეში გვინდოდა დარჩენა, ასე ვერ მივატოვებდით იქაურობას. ღამეებს თეთრად ვათენებდით, ისმოდა საშინელი სროლის ხმა, ცოტა ხანი ვუძლებდით ამ არეულობას. ერთი პერიოდი კი ძალიან დაიძაბა სიტუაცია. მალე გავიგეთ, რომ ჩემი მაზლი მინაზე აფეთქებულა. ეს დიდი ტრაგედია იყო ჩვენი ოჯახისთვის. მამამთილმა გვითხრა, ამაღამ ცაგერას ბომბავენო და ოჩამჩირეში გავიქეცით, „ელექტრიჩკაში" ჩავსხედით და გამოვიქეცით. არ გვქონდა საერთოდ არაფერი, ისე გამოვედით სახლიდან და წყალტუბოს სანატორიუმში დავსახლდით დროებით. დევნილის სტატუსით მარტის თვიდან, „სამშვიდობოს" გამოცხადებამდე. როცა დამთავრდა „პერემირიე", გვითხრეს, რომ ცაგერაში არ იყო საშიშროება და შეიძლებოდა, შინ დავბრუნებულიყავით. ისევ დავბრუნდით ცაგერაში, მონატრებულ სახლში, სადაც, მიუხედავად შედარებით მშვიდი სიტუაციისა, მაინც გვშინოდა ცხოვრება, განსაკუთრებით კი ღამის დადგომა...

ერთხელ, შუაღამეს ვიღაცის განწირული ყვირილი შემოგვესმა: „ელგუჯა! ადექი ჩქარა! აფხაზები შემოვიდნენო." შიშით წამოვვარდით, ჩემს შუათანა გოგოს, ილონას მივაძახე: „დედა ჩქარა მამაშენს შენ გაუღე კარი, კარგი ფეხი გაქვს და მშიდობით დაგვიბრუნდებამეთქი". ილონა მაშინ 5 წლის იყო. არ დამავიწყდება 5 წლის ბავშვის შეშინებული სახე, აკანკალებული მუხლები და მისი ნათქვამი სიტყვები, როცა კარისკენ დამფრთხალი გარბოდა: „ აფხაზი, თათარი, თურქი, ვინც არ უნდა იყოს, ღმერთო! ყველა გადაარჩინე ამ ომს და ყველა დედას მისი შვილი სახლში უვნებელი დაუბრუნეო". დღესაც ცრემლი მადგება თვალზე, ამას რომ ვიხსენებ... მამამისს კარი გაუღო და ელგუჯაც უკანმოუხედავად გაიქცა. მე ერთის მიძახება მოვასწარი: ჩვენ რა გვეშველება-მეთქი. მისგან პასუხი არ მიმიღია — ის მშობლიური მიწის დასაცავად გარბოდა.

ლარისა (ნელი) უბირია

ელგუჯა მეშველიანის ოჯახი.

გარედან აფხაზების გინება და მუქარა მესმოდა. ირმას და ილონას უცებ ჩავაცვი, ირაკლი კი საწოლში იყო და ვერ მოვასწარი მისთვის ტანსაცმლის მოძებნა, საცვალის ამარა ავიტაცე ხელში და გარეთ გავვარდი. მერე როგორც გავიგე, სამშვიდობოს („პერემირიეს") დროს ყველას გადაუმალავს შვილები, მარტო მე ვიყავი დარჩენილი სოფელში ბავშვებთან ერთად. გავიქეცი სახლის უკან, მაგრამ ღობეზე ვერ გადავედი, თან მესმოდა იმათი ყიჟინა: „ურა! ავიღეთ ცაგერაო"... გავრბოდი განწირულად და არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, ტყით ვერ გავიგნებდი გზას, ვიფიქრე, რაც იქნება იქნება-მეთქი და ბავშვები უკან დავაყენე, გოგოებს შუაში ჩავუყენე ირაკლი და მე წინ გავიქეცი, თუ ისვრიან მე მომხვდება-მეთქი. ამ სირბილში ჩვენები შემომეგებნენ, მიცნეს ბიჭებმა, ეხ ხომ ელგუჯას ცოლიაო და მომძახეს, რაც ძალი და ღონე გაქვს გაიქეცი, უკან არ მოიხედოო... ასე ვირბინე და როგორც იქნა, ოჩამჩირემდე ფეხით მივაღწიე. რკინიგზის სადგურში ჩემი მაზლის ცოლი ვნახ. ვთთხოვე, პატარა ირაკლისთვის რამე მოეცა, რომ ჩამეცმია. საცვლის ამარა სულ კანკალებდა. რძალმა მითხრა: მარტო კაბა მაქვსო. გამოვართვი და ირაკლის ეს კაბა გადავაცვი, ცოტა რომ გამთბარიყო ბავშვი... ჩამოვჯექი იქ და ჩემთვის ვტიროდი. ამ გლოვის დროს, ვიღაც ბიჭი გამომეცნაურა და მკითხა ვინაობა. როგორც გავარკვიეთ ჩემი მაზლის ჯარის ამხანაგი ყოფილა. დამაიმედა, ნუ გეშინია, ისეთ ადგილას მიგიყვან, არაფერს გაგიჭირვებენო. მეც მივენდე ახალგაზრდას და მან ვინმე როგავების ოჯახში მიმიყვანა, სადაც 13 წლის გოგონა დამხვდა დედასთან ერთად. იქ მართლაც რომ მშვიდად და უზრუნველყოფილი ვიყავით, თავს მევლებოდნენ. შაოსანი ქალი ვიყავი, ჩემს მაზლს ვგლოვობდი და იმ ოჯახის დიასახლისმა იასამნისფერი კაბა მაჩუქა. ის კაბა არც ჩამიცვამს, ისე წამოვედი იმ სახლიდან, რადგან სრულიად მოულოდნელად ჩემმა თანასოფლელებმა შემომითვალეს, რომ ქუთაისის გზა იხსნება და წყალტუბოში დავბრუნდეთო. მოვკიდე ხელი ჩემს შვილებს და წამოსვლა დავაპირე. დიასახლისი ქალი სახლში არ იყო, 13 წლის გოგონამ კი სულ ცრემლებით გამომაცილა. ბავშვმა საჭმელი ჩამილაგა და წამოსვლისას 20 მანეთს მაძლევდა. არასდროს დამავიწყდება იმ პატარა გოგოს საქციელი... არაფერი არ წამომიღია, ისე წამოვედი იქედან.

როგორც იქნა, ქუთაისამდე მოვედით, ბავშვები ცხარე ცრემლით ტიროდნენ შიმშილისგან. გზად სასაღილოში შევედი და პური ვთხოვე დახლიდარს, თან ფულიც მივაწოდე, მაგრამ ერთი ნაჭერიც კი არავინ მომცა, შენ რომ მოგცე მერე სხვებს არ ექნებათო, ტირილით გამოვედი იქიდან, ანგელოზებისთვის ერთი ნაჭერი პურიც კი არ გაიმეტეს, გამწარებული ვიყავი. უკან ხელჯოხიანი მოხუცი კაცი გამომეკიდა, მე მოგცემ პურსო. ასე წვალებით მოვედი წყალტუბოში. თურმე აქაურებს სცოდნიათ, რომ მე ჩემს ბავშვებთან ერთად ცაგერში მინაზე ავფეთქდი. გაუკვირდათ ჩვენი დანახვა. რამდენიმე დღე აქ ვიყავით, სანატორიუმში ერთი ოთახი დავიკავეთ და დევნილ ცხოვრებას შევუდექით იმ იმედით, რომ მალე ყველაფერი ჩაწყნარდებოდა და ჩვენი მარჩენალი ელგუჯა შემოგვიერთდებოდა, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანდა სამშვიდობო.

ცოტა ხანში მომივიდა ამბავი, რომ ჩემი ელგუჯა ბრძოლის დროს დაიჭრა. ეს იყო 1993 წლის 16 სექტემბერი. მტრის შემოტევის დროს სოფელ ცაგერაში მიუღია ჭრილობები მარჯვენა ბარძაყისა და მუცლის არეში. ბავშვები მეზობელს ჩავაბარე და უკან, სახლში გავიქეცი, ცაგერაში. მამამთილი გაგიყდა ჩემს დანახვაზე, ამაღამ ცაგერა იბომბება და აქ რამ მოგიყვანაო. იმ საღამოსვე უკან გამომიშვეს. მას შემდეგ მე იქ აღარ დავბრუნებულვარ. ელგუჯას საავადმყოფომდე მიუღწევია. იქ უთქვამთ, რომ არ შეიძლება ამ ტყვიების ამოღებაო და დაუტოვეს „ასკოლკები". წამოვედით და ჩემი ქმრის ამბავი კარგა ხანს არ ვიცოდით, ხან რას მეუბნებოდნენ, ხან რას, ჩვენ აქ ვცხოვრობდით ელგუჯას მოლოდინში.

ჩემი ქმარი და მამამისი თურმე ცაგერაში დარჩენილან, მამამთილს მისი ცოლი წაუყვანია თავისი რძლის სახლში, გალში და ისევ ცაგერაში დაბრუნებულა ელგუჯასთან. „ერთი შვილი იქ მომიკვდა და მეორესაც ვერ დავტოვებ, იქნებ გადავარჩინოო". ცაგერაში მიმავალს მისი ძმისშვილი შეხვედრია და რომ გაუგია, ცაგერაში ბრუნდებოდა, გაგიჟებულა, იქ აფხაზები მაინც მოგკლავენ და არ დავუშვებ მათი ხელიდან მოკვდეო. ავტომატი გადმოუღია და ბიძამისისთვის დაუმიზნებია: „აქ ორი ტყვია მაქვს, ერთით შენ მოგკლავ, მეორეთი კი თავს მოვიკლავ, მაგრამ იქ არ გაგიშვებო". მამამთილს უფიქრია, ბავშვი ცოდვაში არ ჩავაგდო, ანერვიულებულიაო და გადაუფიქრებია ცაგერაში დაბრუნება, მაგრამ ორ დღეში მაინც გადასულა. მას შემდეგ არაფერი არ გაგვიგია მასზე. ზოგი ამბობს, რომ მისი შვილის საფლავზე ნახეს მოკლული, არ ვიცი... მისმა ცოლმა თავის მოკვლა სცადა, თურმე, გამწარებულმა, მაგრამ ხელი შეუშალეს. ის შემდეგ ჩვენ წამოვიყვანეთ წყალტუბოში, სანატორიუმში.

აფხაზეთი რომ დაეცა, იმ დღეს გადმოვიდა ელგუჯა იქედან. წამოვიდა და აქ მოგვაკითხა..."

„ეზოში ბურთს ვთამაშობდით ბავშვები, მახსოვს, რომ ვიღაც კაცი, სულ შავებში ჩაცმული, შავი ცილინდრით შემოვიდა სანატორიუმის ეზოში. მახსოვს, მაშინ ძალიან გამიხარდა, მაშინვე მივხვდი, რომ ის შავოსანი, ნომარი კაცი მამიკო იყო..." — იხსენებს ირაკლი მეშველიანი.

აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ მეშველიანების ოჯახმა წყალტუბოს ერთ-ერთი სანატორიუმის შენობაში, „დრუჟბაში" განაგრძო ცხოვრება...

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

ირაკლი აისაფის მისიაში, ავღანეთში

საქართველოში ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურა შეიქმნება

ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველომ წევრობის კანდიდატის სტატუსი (ე.წ. „მაპი") ვერ მიიღო, მაგრამ დაიმსახურა სპეციალური პაკეტი, რაც ნატო-საქართველოს ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას ნიშნავს. მაინც რას ნიშნავს ეს — ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსებას და დაგვიცავს თუ არა ეს რუსეთისგან?!

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას თქმით, უელსის სამიტზე მიღებული პაკეტის იმპლემენტაციის მზადება სამიტის დასრულებისთანავე დაიწყო. „ჩვენი მხრიდან ყველა მოსამზადებელი სამუშაო ჩატარებულია და უკვე გადაიგზავნა ნატო-ს შტაბ-ბინაში. უახლოეს ერთ თვეში ველოდებით ნატო-ს წევრი ქვეყნებიდან თანხმობას, რის შემდეგაც ეს გეგმები საჯარო გახდება," — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის ცობილი კონკრეტულად რა სამხედრო ინფრასტრუქტურაზეა საუბარი, ამ ინფორმაციამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღება დაიმსახურა. რუსეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გარკვეული მუქარაც კი იგრძნობოდა.

„რუსეთმა გამოხატა შეშფოთება საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებულ იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იგეგმება სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება ნატო-ს ინტერესების შესაბამისად. ასეთი ქმედება საფრთხეს შეუქმნიდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობას, რომელიც ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია," — განაცხადა რუსეთის საგარეო უწყებამ.

თუმცა, რუსეთის საგარეო უწყების სურვილის მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის თქმით კი ნატო-ს ინფრასტრუქტურა საქართველოში აუცილებლად შეიქმნება და რეგიონისთვის საფრთხეს არა ნატო-ს ინფრასტრუქტურა, არამედ თავად რუსეთის საოკუპაციო ძალების საქართველოში ყოფნა წარმოადგენს.

„მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ნატო-ს ინფრასტრუქტურა შეიქმნება. ეს არის ნატო-ს სამიტზე მიღწეული შეთანხმება. საქართველო-ნატო-ს პაკეტი სწორედ ამას ემსახურება, რომ ჩვენ ქვეყანაში გაიხსნას ნატო-ს ინფრასტრუქტურა. ჩავატაროთ ერთობლივი წვრთნა და ამით ავამაღლოთ როგორც შეკავების ფაქტორი იმ აგრესიისა, რომელიც რუსეთიდან მოდის. ასევე ავამაღლოთ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა. ეს არის გადაწყვეტილი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს რეგიონში, ჩვენ ქვეყანაში სტაბილურობის გამყარებას. ძლიერი საქართველო არის იგივე ძლიერი სტაბილურობის კონტრიბუტორი. რაც შეეხება საფრთხეებს, ყველაზე დიდ საფრთხეს რეგიონისთვის წარმოადგენს რუსეთის საოკუპაციო ძალები ჩვენ ქვეყანაში და მიმდინარე აგრესია, რომელიც რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ ხორციელდება," — განაცხადა **ირაკლი ალასანიამ.**



მინისტრის თქმით, ერთადერთი, რაც დღეს სჭირდება სტაბილურობის გამყარებას, არის ის, რომ რუსეთის მხრიდან აღებული იყოს ვალდებულება, საბრძოლო მოქმედებების გამოუყენებლობაზე იმიტომ, რომ 2008 წელს და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში, მთავარი აგრესიული ნაბიჯები გადადგმული იყო რუსეთის მხრიდან. ის რეგიონისთვის სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს.

რუსეთის რეაქციას ნატო-ს ინფრასტრუქტურის საქართველოში განთავსებაზე გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის თქმითაც, საქართველოს ეს ნაბიჯი არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და შესაბამისად, რეგიონის სტაბილურობას არ ემუქრება.

„არანაირი ქმედება, რომელსაც საქართველო ახორციელებს თავის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და ჯარის გასაწვრთნელად, არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ. პირიქით, ეს ემსახურება სტაბილურობის განმტკიცებას რეგიონში. სხვა ბევრი ფაქტორია, რომელსაც ეს მიზანი არ აქვს და სწორედ მათი მოწესრიგებისკენ მოვუწოდებთ ჩვენ ჩვენს კოლეგებს ყოველ ჯერზე. ეს არის ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის ჯარის ყოფნა ამ ტერიტორიაზე," — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაია ფანჯიკიძემ.**

ნატო-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ალიანსი საკუთარ ჯარებს განათავსებს ყველგან, სადაც კი მოესურვება. „ნატოს წევრი ქვეყნების მინისტრების შეხვედრაზე ჩვენ განვიხილავთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას სწრაფი რეაგირების ძალების თაობაზე. თუმცა, ამის გარეშეც ალიანსს უძლიერესი ჯარი ჰყავს. მისი განთავსება ჩვენ შეგვიძლია ყველგან, სადაც მოგვესურვება," — განაცხადა **იენს სტოლტენბერგმა.**

ნატო-ს გენერალური მდივნის ამ განცხადებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გამოეხმაურა.

„მე მივესალმები ნატო-ს ახალი გენერალური მდივნის განცხადებას. სხვა რამ რომ ეთქვა, ეს იქნებოდა გასაკვირი. უელსის სამიტზე, როგორც ნატო-ს წევრები, ისე პარტნიორები შევთანხმდით, რომ იმ საფრთხეებს, რაც რეგიონში რუსეთის აგრესიის კუთხით არსებობს, უნდა დავუპირისპიროთ არა მხოლოდ ფინანსური სანქციები, არამედ სამხედრო შემაკავებელი, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ნატო-ს წევრებმა უნდა გააძლიერონ საკუთარი სუვერენული ტერიტორიების უფრო დიდი, სამხედრო შენაერთებით დაცვა, ასევე პარტნიორ ქვეყნებს დაეხმარონ თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლებაში. რაც შეეხება ნატო-ს ორმხრივ, თუ მრავალმხრივ ბაზებს, ერთობლივ წვრთნებს და ადგილსამყოფელს, ეს იქნება საქართველო თუ ნებისმიერი სხვა ქვეყანა, ეს არის ნატოს გადასაწყვეტი. ამიტომ აბსოლუტურად ლოგიკური და მისასალმებელია მისი ეს განცხადება," — განაცხადა **ირაკლი ალასანიამ.**

ნატო-ს ინფრასტრუქტურის განთავსებას საქართველოში მნიშვნელოვან, უალტერნატივო გადაწყვეტილებად მიიჩნევენ ექსპერტები. მაგალითად, როგორც პოლიტოლოგი **ლევან ცუცქირიძე** რადიო „თავისუფლებასთან" საუბარში აცხადებს, ასეთ ნაბიჯს საფრთხეების შეკავების ძალაც ექნება: „როდესაც ქვეყანაში იარსებებს — ბაზა იქნება ეს თუ, რაღაც დამატებითი ცენტრი, სადაც რეგულარულად იქნება გარკვეული რაოდენობა წარმოდგენილი ნატო-ს შეიარაღებული ძალების პერსონალისა — ოფიცრებისა, სამხედროებისა — და მუდმივად იქნება აქტივობები აქ, ეს, რა თქმა უნდა, იქნება ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი. ნატო-ს პერსონალის წინააღმდეგ სამხედრო კონფრონტაცია უცილობლად გამოიწვევს იმას, რომ ნატო იქნება უფრო მეტად ჩართული ამ საკითხში და, შესაბამისად, რუსეთისთვის რისკები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე სხვაგვარად იქნებოდა."

ლევან ცუცქირიძეს არ უკვირს, რომ, უცვლელი საგარეო პოლიტიკური ხედვებიდან და რეგიონში ბატონობის სურვილიდან გამომდინარე, რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს დაახლოებას ნატო-სთან. პოლიტოლოგი მოელის სხვადასხვა სახის ზეწოლას რუსეთის მხრიდან, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის ნატო-სთან სიახლოვე ერთი სწორი არჩევანია და რომ გამოწვევებს საქართველო მტკიცე და სტაბილური განვითარებით უნდა დაუპირისპირდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსის თომას დე ვაალის აზრით, ნატო-ს წითელი დროშის აფრიალება რუსეთს კიდევ უფრო გააღიზიანებს და საქართველოს უფრო დაუცველს გახდის. ანალიტიკოსის აზრით, საქართველომ უნდა სცადოს აშშ-სთან ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერება ამ დროშის ფრიალის გარეშე.

როგორც დე ვაალი საკუთარ წერილში წერს, „საქართველო კვლავ ცდილობს დაამტკიცოს, რომ აშშ-ის ფაქტიური მოკავშირეა... ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო კვლავ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ალიანსის ფორმალური წევრობის გარეშეც კი, აშშ-ის ფაქტიური მოკავშირეა და პენტაგონში დიდ სახელს იხვეჭს ამ პროცესში."

მისივე თქმით, საქართველოს მიერ ნატო-ში წევრობის დევნის ამბავი დაუმთავრებელი საგაა, რომელიც 1990-იანი წლებიდან მომდინარეობს, როდესაც საქართველოს მთავრობამ პირველად გამოხატა სურვილი, გაერთიანებულიყო ალიანსში. თუმცა ნატო-ს ძირითადი წევრები — საფრანგეთი, გერმანია და იტალია ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ იდეას, რომ საქართველო წევრობის კრიტერიუმების შესრულებაზე გადასულიყო.

„როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანა უელსის სამიტზე, წევრობისკენ გზას ვერ გაუყვა. სანაცვლოდ, კი ის 4 ქვეყანასთან ერთდ, ალიანსისგან ახალი სტატუსით დაჯილდოვდა. უელსის სამიტის შემდეგ, აშშ-ის თავდაცვის მდივანი ჩაკ ჰეიგელი თბილისს დაუყონებლივ ეწვია, რაც იყო სიგნალი, რომ მიღებული დეკლარაცია რაღაც მნიშვნელობას ატარებს. ასევე მან საქართველოს მიმართ სოლიდარობა გამოხატა უკრაინის კრიზისის ფონზე. არსებობდა ვარაუდი, რომ საქართველოს მთავრობას, შესაძლოა, აშშ-ისგან შეეძინა Blackhawk-ის ვეტმფრენები. 22 სექტემბერს კი, Foreign Policy-მ გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, რა შეიძლება იყოს შემდეგი ნაბიჯი ამ ურთიერთობებში — საქართველოს შეთავაზება სირიელი მეამბოხეებისთვის საწვრთნელი ცენტრის შექმნის შესახებ. ამ ინფორმაციამ საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის დაბნეულობა გამოიწვია — ზოგი მას უარყოფდა, როდესაც სხვები — ადასტურებდნენ. ეს საქართველოს მთავრობის დისფუნქციურ ბუნებას უფრო ასახავს, ვიდრე ინფორმაციის სიზუსტეს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო კვლავ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ალიანსის ფორმალური წევრობის გარეშეც კი, აშშ-ის ფაქტიური მოკავშირეა, და პენტაგონში დიდ სახელს იხვეჭს ამ პროცესსში," — მიაჩნია **დე ვაალს.**

სტატიის ბოლოს, ანალიტიკოსი იმ პოლიტიკაზე საუბრობს, რომლის გატარებაც საქართველოს ყოველთვის სჭირდება.

„კერძოდ, უსაფრთხოების სფეროში ძლიერი ორმხრივი ურთიერთობა აშშ-სთან, რაც მას თავს დაცულად აგრძნობინებს, ნატო-ს მიერ წითელი დროშის აფრიალების გარეშე, რომელიც რუსეთს გააცოფებს და ამის გამო, საბოლოოდ, ქვეყანა დაუცველი ხდება. გარდა ამისა, სტანდარტების ცალმხრივი იმპლემენტაცია ქვეყნისთვის კარგი მოდელია, უფრო დიდი სტრატეგიული გამოწვევა კი, ევროკავშირთან ეკონომიკური დაახლოება და ჰარმონიზაციაა," — წერს **დე ვაალი.**

ციტნე გაგნიძე

„მაშინ წამოვალ ჯარიდან, როცა დედაჩემს აფხაზეთის მიწაზე დავადგმევინებ ფეხს"

მე-4 გვერდიდან

„სხვისი ხელის შემყურეებმა განვაგრძეთ ცხოვრება, არანაირი შემოსავალი, არანაირი ტანსაცმელი, სულ ნოლიდან დავიწყეთ. ჩვენი ყოველდღიური საკვები 5 კაცზე დღეში ორი პური, გრამობით ბრინჯი და რამდენიმე კოვზი შაქარი იყო. ეს — ბავშვებისათვის განკუთვნილი ულუფა, ჩვენ, უფროსები კი ათას „ბალაბურდას" ვპოულობდით და საჭმელს ვარქმევდით. ასე ვიყავით მანამ, სანამ ჩემმა მეუღლემ თავისი პროფესიით არ დაიწყო მუშაობა სამტრედიის დეპოში, მემანქანედ. თუმცა, აფხაზეთიდან გამოყოლილი იარები, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური, წლების მანძილზე გვაწამებდა. ელგუჯას ტყვიების „ასკოლკები" მთელს სხეულში ჰქონდა გაფანტული და უწამლობის და უფულობის გამო გაუსაძლის ტკივილები აწუხებდა, მაინც უძლებდა. 5 წელი იმუშავა, ამ დროის განმავლობაში კი ძალიან ბევრი აკლდათ ჩემს შვილებს: გოგოებს არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭი ჰქონდათ, თუმცა, იმის გამო, რომ გამოსაცვლელი ტანსაცმელი არ ჰქონდათ ზამთარში, ვერ ვატარე და ეს ნიჭი ჩავუხშეთ."

ოჯახის უფროსი ელგუჯა მეშველიანი 2001 წლის 29 ნოებმერს გარდაიცვალა. იგი ერთი წლის განმავლობაში ლოგინად იყო ჩავარდნილი, ვინაიდან „ასკოლკები" მთელს სხეულში განაწილდა და მისი მდგომარეობა ძალიან გართულდა. ამ დროის განმავლობაში კი, როგორც ნელი უბირიამ მიამბო, თითქმის ყოველდღე ცდილობდა თვითმკვლელობას გაუსაძლისი ტკივილების გამო. ცოლშვილისთვის ტვირთის და საზრუნავი შეემცირებინა... ამის უფლებას კი მისი ცოლი არ აძლევდა. თუმცა, ოჯახი მისი დაქვრივებული მეუღლის შემყურე დარჩა. ამასობაში ბავშვებიც წამოიზარდნენ და 15 წლის ირაკლი დედასთან ერთად შეუდგა დებზე ზრუნვას.

მეშველიანების ოჯახი 1992 წელს დაწყებულმა ომმა ძალიან დააზარალა, გარდა იმისა, რომ მათ აფხაზეთში დატოვეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ, იქ დარჩათ სული და გული და ყველაზე მთავარი სიცოცხლე იმ ადამიანებისა, ვინც მათთვის ძვირფასი იყო. ელგუჯა მეშველიანის მამა აკაკი მეშველიანი დღემდე დაკარგულად ითვლება. ძმა, მურმან მეშველიანი აფეთქების შედეგად დაიღუპა, თვითონ ელგუჯა მეშველიანმა კი აფხაზეთში მიღებული ჭრილობებით 7 წელი იცოცხლა. დღემდე ინახება მეშველიანების ოჯახში დოკუმენტი, „საბრძოლო მოკვლევა", რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

„რიგითი მეშველიანი ელგუჯა აკაკის ძე. დაბადებული 1952 წელს. ქართველი. მცხოვრები ოჩამჩირის რ-ნი სოფ: ცაგერა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში აფხაზეთში, იბრძოდა 24-ე ბრიგადის 242-ე ბატალიონში. 1993 წლის იანვრიდან 1993 წლის 16 სექტემბრამდე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი, კერძოდ ტამიშის დესანტის განადგურება. ბრძოლები მოქვისა და კოჩარის მიმართულებით. ბრძოლაში იგი გამოირჩეოდა სიმამაცითა და გამბედაობით, მასზედ დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა პირნათლად.

1993 წლის 16 სექტემბერს მტრის შემოტევებისას მიიღო ჭრილობები მარჯვენა ბარძაყისა და მუცლის არეში. მკურნალობას გადიოდა ქ. ოჩამჩირის, ხოლო შემდეგ ქ. თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში."

ეს ერთადერთი დოკუმენტია, სადაც აღწერილია ელგუჯა მეშველიანის გმირობა, თუმცა აქ არაფერი წერია იმაზე, თუ როგორ იხსნა ელგუჯა მეშველიანმა ომის დროს 15 ადამიანის სიცოცხლე. ამის შესახებ ოჯახისთვის იმ მებრძოლების ნაამბობიდინაა ცნობილი, ვინც მის გვერდით იბრძოდა.

დღეს მეშველიანები წყალტუბოს სანატორიუმში ცხოვრობენ, ჯერ კიდევ არ მიუღიათ კუთვნილი ბინა.

ლარისა (ნელი) უბირია 60 წლისაა. ქალი, რომელმაც 16 წელი ოჩამჩირის სტატისტიკურ ცენტრში (ривс) იმუშავა, დღეს ხან ცერეცოს კრეფს სათბურებში, ხან სიმინდის ყანას ტეხს...

ლარისა უბირია უშრეტი ენერგიის პატრონია და მისი შვილების ერთადერთი იმედი. მისი იმედი კი შვილები: ირმა, ილონა და ირაკლია. ირაკლი, რომელიც უკვე 6 წელია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობს, იმყოფებოდა ავღანეთში (ჰელმანდის პროვინცია) აისაფის მისიით.

ირაკლი ხშირად იმეორებს: „მანამ არ წამოვალ ჯარიდან, სანამ ჩემს აფხაზეთს არ დავიბრუნებ. დედაჩემს კვლავაც ჩვენს მიწაზე უნდა დავადგმევინო ფეხი".

ჟანა ჯანელიძე

ქართული ღვინის დღე და „რთველი 2014" -ის რეკორდული შედეგები

„რთველი 2014" კახეთში დასასრულს უახლოვდება. ამ დროისთვის გადამუშავებულია 116 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, რეგიონის მოსახლეობის შემოსავლებმა კი რეკორდულ მაჩვენებელს — 155 მლნ ლარს გადააჭარბა.

„ეს არის უპრეცედენტო ციფრები. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანდა ყურძენი და საუბარი იყო მოსავლის ნაკლებობაზეც, სტატისტიკა სხვა რამეს აჩვენებს. შემოსავლების ზრდის ტენდენცია, ვფიქრობთ, მომავალშიც გაგრძელდება," — ასე შეაფასა „რთველი 2014" **სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ.**

რთველით კმაყოფილები არიან მევენახეებიც, რომლებსაც წელს დაკრეფილ 1 კილოგრამ რქაწითელში, 1 ლარზე ნაკლები არ აუღიათ, ხოლო საფერავის ფასმა 3,40 ლარსაც მიაღწია. მეწარმეების წახალისება, მეტი გადაეხადათ გლეხისთვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებამ განაპირობა, რომლის მიხედვითაც, სუბსიდირებას მხოლოდ ის მეწარმე მიიღებდა, რომელიც კილოგრამ ყურძენში ლარზე მეტს გადაიხდიდა.

„ძალიან კარგი რთველი გვქონდა წელს კახელებს, ფასიც — შესაბამისი. კმაყოფილები ვართ. არანაირი პრობლემა ჩაბარების დროს არ გვქონია," — ამბობენ მევენახეები.

წინა წელთან შედარებით, გაზრდილია ღვინის ექსპორტის მაჩვენებელიც — ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 9 თვეში (იანვარ-სექტემბერი) მსოფლიოს 39 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 42 800 528 (0,75 ლიტრი) ბოთლი შეადგინა, რაც 62%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელარუსი, სადაც რუსეთი ლიდერობს 65%-ით ექსპორტის მთლიან მოცულობაში. ღვინის ექსპორტმა რუსეთში, 2014 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით, 27 937 836 ბოთლი შეადგინა. საექსპორტო ქვეყნების ათეულშია ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი. ღვინის ექსპორტმა თანხაში 137 104 668 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 64%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, სექტემბრის მდგომარეობით, 14 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8 787 177 (0, 5ლ) ბოთლი ბრენდი. 2014 წლის განვლილ 9 თვეში, ბრენდის ექსპორტმა თანხაში 29 043 599 აშშ დოლარს მიაღწია, რაც 41%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებში კვლავ ლიდერობს უკრაინა, სადაც იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით, ექსპორტმა 4 281 222 ბოთლი შეადგინა, მეორე ადგილს 3 976 884 ბოთლით რუსეთი იკავებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ღვინის ექსპორტის ზრდა მევენახეებისთვის სტიმულის მომცემია. ამით ისინი უფრო დაინტერესდებიან ვაზის გაშენებით.

მთავრობის მეთაურმა, ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ქართული ღვინის დღე დააწესა. ეს თარიღი წელს პირველად 4 ოქტომბერს აღინიშნა და იგეგმება, რომ მომავალში ტრადიციად დამკვიდრდეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ამ დღესთან დაკავშირებით კახეთში, ყვარლის რაიონში, მინისტრებთან ერთად ყურძნის დაკრეფაში მიიღო მონაწილეობა და რთველის შედეგებიც შეაჯამა:

„დღეს ერთგვარად რთველის სიმბოლური შეჯამება გვაქვს და მიმაჩნია, რომ წელს საუკეთესო რთველი და საუკეთესო წელი იყო, ვინაიდან გლეხები, მევენახეები ძალიან ბედნიერები, კმაყოფილები არიან. ამ ეტაპზე, კახეთში 115 ათასი ტონა ყურძენია მოკრეფილი, ამაში რაჭის მოსავალი არ შედის. მევენახეების შემოსავლებმა, ჯამში, 155 მილიონი ლარი შეადგინა. ეს უპრეცედენტო, წარმატებული რთველია, და რაც მთავარია, ეს დიდი მოტივაცია, სტიმულის მიმცემია გლეხებისთვის. 4 ათას ჰექტარზე უკვე გაშენდა ახალი ვენახი, რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, გლეხს გაუჩნდა მოტივაცია და სურვილი, რომ ვენახი გააშენოს. არიან ოჯახები, რომლებმაც 10, 20, 50 და 100 ათასი ლარის შემოსავალი მიიღეს. სოფლებში ეს ძალიან დიდი დახმარებაა," — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწესებული ქართული ღვინის დღის ორგანიზატორები არიან: **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო, ალავერდის ეპარქია, ასოციაცია „ქართული ღვინო"** და **საქართველოს სომელიეთა ასოციაცია.**

მთავრობის მეთაური რთველში მონაწილეობასთან ერთად, ალავერდის სამონასტრო კომპლექსში საზეიმო დოღს დაესწრო და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა. ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ღვინის დღე ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად იქცევა:

„ამ დღის დაწესება ღვინის კულტურის უძველესმა და უნიკალურმა ისტორიამ გადაგვაწყვეტინა. ქართველი კაცისთვის, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ვაზი და ღვინო ქართველობის იდენტობის ტოლფასია. ქართული მეღვინეობის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიასთან არის გადაჯაჭვული. სწორედ საქართველოშია კულტურული მევენახეობის უძველესი ნაკვალევი," — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ღვინის დაყენების უნიკალურ, ათასწლოვან ტექნოლოგიაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვინის მუზეუმი აშენდება, რომელშიც თავმოყრილი იქნება ქართული ღვინის მთელი ისტორია.

ირაკლი ღარიბაშვილმა დოღში გამარჯვებულს ერეკლე მეფის ხმლის ასლი გადასცა; **პრემიერ-მინისტრსა** და **ალავერდის მიტროპოლიტ დავითს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა** საფერავის ბოკალის ორი ექსკლუზიური ნიმუში უსახსოვრა.

საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტისა და ღვინის საპატიო ელჩის, შალვა ხეცურიანის ინიციატივითა და მოწვევით, ავსტრიელი ოსტატის გეორგ რიდელის მიერ შექმნილი საფერავის ბოკალის პრეზენტაცია ქართული ღვინის დღის ფარგლებში თბილისში, სასტუმრო „მერიოტ თბილისში" გაიმართა, რომელსაც თბილისის მერი დავით ნარმანია და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე დაესწრნენ; საფერავის დასაგემოვნებლად ექსკლუზიური ბოკალი მსოფლიოს წამყვანმა ბრენდმა, 300-წლიანი ისტორიის მქონე ავსტრიულმა საგვარეულო კომპანია „რიდელმა" შექმნა. ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ამით საფერავი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიოს 20-მდე წამყვანი ჯიშების ექსკლუზიური ბოკალების კოლექციაში.

თბილისსა და კახეთში ღვინის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებს უამრავი სტუმარი — სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო სტრუქტურებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ადგილობრივი მცხოვრებლები და ტურისტები სტუმრობდნენ.

დღესასწაულში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული ღვინის კულტურის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი ახალგაზრდული მოძრაობის 200-ზე მეტი წარმომადგენელი, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები.

სიონის ქუჩაზე, „ქარვასლის" წინ მოეწყო ქართული ღვინოების დეგუსტაცია. ამასთან, დეგუსტაცია და სხვადასხვა სანახაობითი ღონისძიება თელავის ცენტრში, იუსტიციის სახლის წინ, ერეკლეს მოედანზეც გაიმართა.

„რთველი 2014" დაიწყო რაჭაშიც. რთველის საკოორდინაციო შტაბი ქალაქ ამბროლაურში გაიხსნა. შტაბის გახსნას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

რაჭაში ყურძნის მიღება-გადამუშავების მზადყოფნა გამოთქვა და დარეგისტრირებულია 14 ღვინის კომპანია. წელს, წინასწარი პროგნოზით მუჯურეთულისა და ალექსანდროულის სავარაუდო მოსავალი 800-900 ტონას შეადგენს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, მკაცრად კონტროლდება, რომ რეგიონში არ მოხვდეს სხვა ზონიდან შემოტანილი ყურძნის ჯიშები, რათა დაცული იყოს „ხვანჭკარას" ხარისხი.

ისევე, როგორც კახეთში, საკოორდინაციო შტაბი რაჭაშიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და შარშანდელის მსგავსად, ჩაბარებული ყურძენი, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღირიცხება. მოქმედებს „ცხელი ხაზი" — 2 47 01 01, რომელიც 24 საათის განმავლობაში ემსახურება დაინტერესებულ პირებს.

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ეს დღეები ისეთი მშვენიერი იქნება, რომ ხშირად და კარგად გაიხსენებთ. გაატარეთ დრო საყვარელ ადამიანთან ერთად.

კურო: შეეცადეთ, შეზღუდოთ ინფორმაციის მიღების ჩვეული წყარო, საუკეთესო დროა ბუნებაში გასატარებლად.

ტყუპები: გექნებათ მიზეზი გაერთოთ ყველაზე ახლო მეგობრების წრეში. დაურეკეთ იმათ, ვინც თქვენს ინტერესებს იზიარებს.

კირჩხიბი: კარგი იქნება ვარცხნილობის შეცვლა, მაღაზიებში გავლა და გარდერობის განსაახლებლად საუკეთესო პერიოდია.

ლომი: გულწრფელი საუბარი მეგობართან ბევრ უპასუხო შეკითხვას წარმოშობს. აღმოაჩენთ, რომ ადამიანი, რომელთანაც მთელი ცხოვრებაა მეგობრობთ, თქვენთვის აბსოლუტურად უცხოა, თუმცა ის სიახლე, რასაც მასში აღმოაჩენთ, კიდევ უფრო უკეთესი მხრიდან წარმოაჩენს.

ქალწული: თავგადასავლებისკენ გაგიწევთ გული, თუმცა სიფრთხილე გმართებთ. უმჯობესია, გაანალიზოთ მომხდარი მოვლენები და მიღებული შედეგები გაითვალისწონოთ სამომავლოდ.

სასწორი: მოიკრიბეთ ძალები და წარმატებაც თქვენი მეგზური იქნება. წინ გელით საინტერესო თავგადასავლები, წარმატება სიყვარულში და საუკეთესო ემოციები. სიფრთხილე გმართებთ ფინანსური ოპერაციების დროს.

მორიელი: საკმაოდ პრობლემური დღეები გელით. სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებთ, ეცადეთ, კარგად გაეცნოთ სიტუაციას. აკონტროლეთ საკუთარი ემოციები, რათა თავი აარიდოთ ოჯახში პრობლემებს.

მშვილდოსანი: ცხოვრება გარკვეულ სიტუაციაში მოგახვედრებთ, რომელიც წარმატებებს გპირდებათ, მაგრამ თავბრუ არ დაგეხვეთ, მიყევით დინჯად და დაფიქრებით.

თხის რქა: განსაკუთრებული წარმატება ტექნიკურ სფეროში მომუშავეებს ელით. ეს პერიოდი იდეალურია ფინანსური ოპერაციებისათვის.

მერწყული: მძიმე და დაძაბული მუშაობა მოგიწევთ, დასვენებას თუ გადაწყვეტთ, უმჯობესია, მობილური გათიშოთ.

თევზები: კარგია სამოგზაუროდ წასვლა მეგობრებთან ერთად, რათა სრულიად აღიდგინოთ ენერგია შემდეგი წარმატებების მისაღწევად. დასვენება თქვენთვის მთელი წლის ენერგიას შეგძენთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. პასკალი; 5. კრონი; 6. ჩაკ; 8. ანა; 9. მიტუა; 11. იალბუზი.
ვერტიკალურად: 1. ფსონი; 2. სან; 3. პირინეი; 4. იკარუსი; 7. სიგუა; 10. ალო.

გერმანიაში უმაღლესი განათლება ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის უფასო გახდა

პირველ ოქტომბერს ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისათვის სწავლა უფასო გახდა. ქვემო საქსონია უკანასკნელი მხარე იყო, რომელიც გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის გაუქმების კანონს შეუერთდა.
2006 წლიდან გერმანულ უმაღლეს სასწავლებლებში ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისთვის სწავლების საფასურის ეტაპობრივი შემცირება და საბოლოო გაუმქება დაიწყო. გერმანიის მთავრობა ყოველწლიურად განათლების სუბსიდირებისთვის, დაახლოებით, 69 მილიარდ დოლარს ხარჯავს. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ერთი სემესტრის სწავლის საფასური აქამდეც არ იყო მაღალი და, დაახლოებით, 500 ევროს ფარგლებში მერყეობდა. კრიტიკოსების შეფასებით სწავლის საფასურის გაუქმებამ, შესაძლოა, სწავლების ხარისხის დაცემა გამოიწვიოს.

http://www.tabula.ge/

განცხადება

სს „ტრანსპორტელი“ აცხადებს, რომ აქციონერთა კრება შედგება 4 ნოემბერს, შემდეგი დღის წესრიგით:
1. მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა
2. სარეორგანიზაციო საკითხები
3. სხვადასხვა
მისამართი: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას IV ჩიხი, №2.

უფასო განცხადებები

იყიდება

- 50 მ² არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 მ² ოთახი+16მ² სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **(0 431) 24 40 66**

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37°;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
- [ ] გავყიდი
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავაქირავებ

ავტო-მოტო
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი

სამსახური
- [ ] ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი
- [ ] სხვა

- [ ] ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

- [ ] **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
- [ ] ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _____

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

13.10.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ოპოზიციონერი **გიგა ბოკერია** პირველად **სულიკო ფუტკარაძე** ამოიცნო, შემდეგ დაგვიკავშირდა მანანა მიქაძე.

რას დაარქმევდით?

ბაჩო ახალაია

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

„მორთულობით მშვენიერი, გარეთ მხდალი, მტრის არმცნობი, პირს ლაგამი ზომიერი.“
შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. სამტრედიის რაიონი სოფ. დიდი ... 5. ქათმისებრთა რიგის გარეული ფრინველი; 6. ფუტკრის სახლი; 8. საოჯახო ელექტრო ხელსაწყო; 9. მზიდან მეოთხე პლანეტა; 11. ყავის ერთ-ერთი სახეობა.
ვერტიკალურად: 1. ნაჭუჭიანი ხილი; 2. ქალაქი ... დე ჟანეირო; 3. გულივერის მოგზაურობის ავტორის სახელი; 4. ოიდიპოს მეფის დედა და ცოლი; 7. სანიავებელი; 10. არგუსის თვალების რაოდენობა.



საფერავის ბოკალის დაბადება

4 ოქტომბერს თბილისი-მარიოტ-ში საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტის, შალვა ხეცურიანისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან დავითაშვილის ინიციატივით გაიმართა საზეიმო მიღება სახელწოდებით „საფერავის ბოკალის დაბადება".

მიღებას ესწრებოდა თბილისის მერი დავით ნარმანია, ასევე ესწრებოდნენ ბიზნესის, ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლები.

საუკეთესო ქართველმა სომელიეებმა სტუმრებს წარუდგინეს საფერავის ექსკლუზიური ბოკალი, რომელიც შექმნა მსოფლიოში ცნობილმა აქსესუარებისა და ბოკალების მწარმოებელი ავსტრიული კომპანია RIEDEL-ის მფლობელმა, გრაფმა გეორგ რიდელმა.

დღესვე ღვინის პირველი ორი ექსკლუზიური ჭიქა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილსა და ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს გადაეცათ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საფერავის ბოკალის დაბადების ისტორია მნიშვნელოვან ეპიზოდად შევა საქართველოს სომელიეთა ასოციაციისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ერთობლივ პროექტში — ფილმი ქართულ ღვინოზე, რომლის რეჟისორიცაა ქალბატონი ნანა ჯორჯაძე.

***

საზოგადოებამ უკვე იცის, რომ გეორგ რიდელი მიმდინარე წლის ივნისში სომელიეთა ასოციაციის მოწვევით ესტუმრა საქართველოს და ქართული ღვინის საპატიო ელჩ შალვა ხეცურიანთან ერთად, საფერავის ბოკალის პროტოტიპის შერჩევის ეროვნული სესია წარმართა. სესიაში მონაწილეობდნენ ქართველი მეღვინეები, სომელიეები და დარგის სხვა ექსპერტები, რათა თვითონ საქართველოს განესაზღვრა, როგორი უნდა ყოფილიყო საფერავის ბოკალის ფორმა.

სამ ეტაპად ჩატარებული სესიის შედეგად ხმათა უმრავლესობით დასახელდა საფერავის ბოკალის პროტოტიპი, რომლის მიხედვითაც გეორგ რიდელმა უკვე ექსკლუზიურად შექმნა საფერავის ბოკალი.

გეორგ რიდელის წარმოებაში საფერავის ღვინის ჭიქის გამოჩენა ქართული ღვინის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და ხაზს უსვამს საფერავის გამორჩეულობას.

რიდელების 350-წლიანი ისტორიის მქონე წარმატებული საოჯახო ბიზნესი ცნობილია რევოლუციური ღვინის ჭიქების წარმოებით. პრინციპი — „შიგთავსი განაპირობებს ფორმას", წარმოების მთავარ ფასეულობად იქცა. სწორედ მასზე დაყრდნობით წარმოადგინეს რიდელებმა ცალკეულ ყურძნის ჯიშზე და მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მევენახეობის რეგიონების ღვინოებზე მორგებული სასმისების კონცეფცია. ღვინის ჭიქების, გეომეტრიასა, თუ ღვინის მოხმარების ფსიქოლოგიაზე წარმოებული მრავალწლიანი ექსპერიმენტების შედეგად, კომპანიამ იდეალურ ბროლის ბოკალთა კოლექცია შეიმუშავა — 16 გამორჩეული სასმისი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ღვინის 16 ჯიშისთვის.

ქართული ყურძნის ჯიშის, „საფერავის" ბოკალი რიდელის კოლექციის საპატიო მე-17 ადგილს დაიჭერს და მას სულ მალე მსოფლიოს ყველაზე ცნობილ რესტორნებში, რიდელების კატალოგის მთავარ კოლექციაში ვიხილავთ.

დღეს ყველამ იცის, რომელია „პინონუარის", „ბორდოსა" თუ „შარდონეს" ბოკალი.

მალე მსოფლიო გაიგებს, როგორი იქნება ქართული „საფერავის" ბოკალი!

ნატო გუგელაძე

PSNEWS.GE გამორჩეულად ინტერაქტიულ ვებგვერდად დასახელდა

პოლონელმა მედიაექსპერტებმა ქართული რეგიონული მედიაგამომცემლობები დააჯილდოვეს

თბილისში, სასტუმრო „ქოპეში", ქართულ-პოლონური მედიაპროექტის ფარგლებში რეგიონული მედიაგამომცემლობებისა და ჟურნალისტების საზეიმო დაჯილდოვება გაიმართა.

ეს თანამშრომლობა 2007 წლიდან იღებს სათავეს და ამ ხნის მანძილზე პოლონელმა მედიაექსპერტებმა ძალიან საინტერესო ტრენინგ-სემინარები ჩაუტარეს რეგიონული მედიის გამომცემლებს საქართველოში. ასევე, პროგრამის მონაწილეები ყოველწლიურად სტუმრობდნენ პოლონეთს და იქ არსებულ მედიებში გადიოდნენ პრაქტიკას.

წელს, შემაჯამებელ ტრენინგზე, რომელიც ზაფხულში ქუთაისში გაიმართა, პოლონელმა მედიაექსპერტებმა სპეციალური კონკურსი გამოაცხადეს პროექტის მონაწილეებისათვის.

საქართველოს ადგილობრივი გაზეთების მხარდაჭერის პროექტი, **„საინფორმაციო მედიიდან ინტერაქტიულ მედიამდე — საქართველოს ადგილობრივი გაზეთები ინტერნეტში",** დაფინანსებული იყო შემდეგი პროგრამების ფარგლებში: პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წლის თანამშრომლობის განვითარების პროგრამა „დემოკრატიის მხარდაჭერა" და თავისუფლების ფონდის პოლონურ-ამერიკული პროგრამა „ცვლილებები რეგიონში" — RITA, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისთვის.

7 ოქტომბერს კონკურსში გამარჯვებული მედიაგამომცემლებისა და ჟურნალისტების საზეიმო დაჯილდოვება შედგა. თბილისში სტუმრად მყოფმა პოლონელმა მედიაექსპერტმა და ამ პროექტის მთავარმა სულისჩამდგმელმა, აგნეშკა ნოვინსკამ 10 რეგიონულ გამოცემასა და რეგიონული მედიის ჟურნალისტებს პრიზები პირადად გადასცა.

დაჯილდოვება მოხდა სხვადასხვა კატეგორიაში: საუკეთესო სტატია, საუკეთესო ფოტო, საუკეთესო ვიდეო, საუკეთესო ვებგვერდი.

გაზეთ „პოსტსკრიპტუმის" ინტერნეტგამოცემა www.psnews.ge დაჯილდოვდა სერთიფიკატითა და პლანშეტით, როგორც გამორჩეულად ინტერაქტიული ვებგვერდი.

ეს წარმატება ყველა „პოსტსკრიპტუმელის" შრომის დიდი დაფასებაა. გილოცავთ, ჩემო მეგობრებო და ღირსეულო თანამშრომლებო! (ირმა ბახუტაშვილი, ნესტან ჩაგელიშვილი, ჟანა ჯანელიძე, ირინა მაკარიძე, ეკა შალამბერიძე, ლალი კუპრაშვილი, როლანდ ხოჯანაშვილი, ცოტნე პაატაშვილი, გია გუბელაძე, ავთო ხათრიძე და ა.შ.) და უპირველესად გილოცავთ და მადლობას გეუბნებით თქვენ, ჩვენო მკითხველო!

***

აქვე გაცნობებთ, რომ სხვადასხვა კატეგორიებში სერთიფიკატებით, დიპლომებით და სხვადასხვა პრიზებით დაჯილდოვდნენ პროექტის მონაწილე ჩვენი კოლეგები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან: ინტერნეტგამოცემა „okribanews", გაზეთი „გურიის მოამბე", გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე", გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში", გაზეთი „გურიანიუსი", გაზეთი „ჩემი ხარაგაული", გაზეთი „კახეთის ხმა", გაზეთი „ქართლის ხმა", გაზეთი „ზუგდიდელები".

ასევე ოთხი გამომცემლობა: — „okribanews", „მთავარი თემა სამეგრელოში", „სპექტრი", „ჩემი ხარაგაული" – რომლებიც 2007 წლიდან მონაწილეობენ პროექტში და გარკვეული წინსვლა აქვთ თავიანთ საქმიანობაში, დაჯილდოვდნენ სასწავლო ტურით პოლონეთში.

ვულოცავთ ყველა ჩვენს კოლეგას ამ გამარჯვებებს და წარმატებებს ვუსურვებთ.

ნატო გუგელაძე